

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია
მონიტორინგის შედეგები**
(09.08.2016 – 08.09.2016)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“, შემუშავდა წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები, ჩატარდა ტრენინგები, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის, ისე ყველა იმ სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და კურსდამთავრებულნი ახორციელებენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი 2016 წლის 08 ივნისს დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალ ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორინგის დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ

მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მესამე შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2016 წლის 09 აგვისტოდან 08 სექტემბრის ჩათვლით.

აღნიშნულ ანგარიშში საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ ინფორმაცია დამატა. პირდაპირ დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, **ირიბად** დათმობილი დროის ფარგლებში გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.

პირდაპირ დათმობილი დრო აღნიშნულია ლურჯი ფერით, ირიბი – წითელით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 33.4%, „რესპუბლიკელებს“ 16.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 25.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 18.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „მთავარი თამარ ჩიქოვანთან“ და „რეალური სივრცე“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „რეალური სივრცე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ლეიბორისტების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. აღნიშნული გადაცემა დებატის ფორმატისაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით, პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „მრეწველების“ წარმომადგენლებმა. ამავე პერიოდში გადაცემას „მთავარი თამარ ჩიქოვანთან“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხის ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს, პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ლეიბორისტების“, „ეროვნული ფორუმის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „მემარცხენე ალიანსის“,

„მრეწველების“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „ცენტრისტების“, „კვარაცხელია–სოციალისტების“ „ზვიადის გზა–უფლის სახელით“, „ეროვნული ერთიანობის პარტიის“, „მომავალი საქართველოს“, „ქართული დასის“, „თეთრების“, „თავისუფლების“, „მწვანეთა პარტიის“, „ევროპელი დემოკრატების“, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“, „დევნილთა პარტიის“, „კომუნისტური პარტიის“, „საქართველოს“, „სახალხო პარტიის“, „ქართული იდეის“, „ქალთა პარტიის“ წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ირაკლი შიხიაშვილი, შოთა მალაშხია.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი



საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი (საუკეთესო დრო)





საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 46.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 16.2%, „რესპუბლიკელებს“ 10.3% ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 42.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „არჩევნები 2016“, „ფაქტორი“ და „პირისპირ“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევნები 2016“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „რესპუბლიკელების“, „საქართველოს მშვიდობისათვის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „მრეწველების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „ეროვნული ფორუმის“, „ჩვენების“, „სახალხო პარტიის“, „ნაციონალური მოძრაობის“ და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს შორის. ამავე გადაცემის წამყვანის განცხადებით, პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“, „ლეიბორისტების“, „კომუნისტური პარტიის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ემსახურე საქართველოს“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პირისპირ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო

პერიოდში გადაცემას „ფაქტორი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





აჭარა



აჭარა

(საუკეთესო დრო)





შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 31.1%, „ქართულ ოცნებას“ 26%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 28%, „ქართულ ოცნებას“ 26%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.6%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევანი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „ლეიბორისტების“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები, რომელთა შორის გაიმართა დებატები. ამავე გადაცემაში შედგა შემდეგი პოლიტიკური გაერთიანებების პრეზენტაცია: „ეროვნული ფორუმი“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიცია“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“.

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია შაბათის „კურიერი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ) „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „გაერთიანებული


დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„რუსთავი 2“-ის პროგრამა „ბიზნეს კურიერში“ საანგარიშო პერიოდში დრო დაეთმოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „ქართულ ოცნებას“, „თავისუფალ დემოკრატებს“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“, „ლეიბორისტებს“, „რესპუბლიკელებს“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




რუსთავი 2



რუსთავი 2 (საუკეთესო დრო)



რუსთავი 2



შპს „ჯი დი ეს თი ვი“
(GDS)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს¹ ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 38.4%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 11.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„GDS“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „20:30“, „59 წამი“ და „59 წამი არჩევნები 2016“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „20:30“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ). ამავე პერიოდში გადაცემას „59 წამი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), საარჩევნო ბლოკი „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „რესპუბლიკური პარტიის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემის ფარგლებში შედგა დებატები „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო

¹ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

ხალხისთვის“, „ქართული ოცნების“, „რესპუბლიკელების“ და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებს შორის, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისა“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“, „ეროვნული ფორუმისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „59 წამი არჩევნები 2016“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ) და „საქართველოს მშვიდობისათვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემის ფარგლებში დებატები² გაიმართა „ქართული ოცნების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკელების“ და „მრეწველების“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ეროვნული ფორუმის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკელების“ და „საქართველოს მშვიდობისათვის“ წარმომადგენლებს შორის. „ქართული ოცნების“, „რესპუბლიკელების“, „ეროვნული ფორუმის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ლეიბორისტების“ წარმომადგენლებს შორის. „თავისუფალი დემოკრატების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „რესპუბლიკელების“, „ქართული ოცნებისა“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „GDS“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„GDS“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gdstv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„GDS“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

² გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უარს აცხადებენ პროგრამაში მონაწილეობაზე;

GDS
(საუკეთესო დრო)



GDS
(საუკეთესო დრო)



შპს „ტელემედი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 35%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 24.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 10.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 19.8%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 19.3%, „ქართულ ოცნებას“ - 18.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„იმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „პოლიტიკა“, „იმედის დრო“ და „ღია ეთერი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პოლიტიკა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დ/კ ირაკლი ოქრუაშვილი. ამავე პერიოდში გადაცემას „ღია ეთერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„იმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


იმედი
(საუკეთესო დრო)




იმედი



იმედი
(საუკეთესო დრო)



იმედი



შპს „სტუდია მანესტრო“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ – 35.5%, „ქართულ ოცნებას“ 30.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 15.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 31.7%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ 23.6%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 14.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკის სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „მრეწველების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „ჩვენების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


„მანესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „მანესტროს ფაქტორი“ და „ღამის კონტაქტი“. გადაცემას „მანესტროს ფაქტორი“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ცენტრისტების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ირაკლი პეტრიაშვილი, ირაკლი შიხიაშვილი, ზურაბ შარია, სალომე ზურაბიშვილი, ილია კოკაია. ამავე გადაცემაში დებატები შედგა „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისათვის“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის, „ცენტრისტების“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსათვის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ღამის კონტაქტი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ჩვიდმეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდეჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ექვსჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ექვსჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ექვსჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ლეიბორისტების“ (ორჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსათვის“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „ევროპელი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები სალომე ზურაბიშვილი, ცეზარ ჩოჩელი, ირაკლი ოქრუაშვილი. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „მემარცხენე ალიანსის“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „ეროვნული ფორუმის“, „სახელმწიფო ხალხისათვის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის და დ/კ ცეზარ ჩოჩელს შორის, „ლეიბორისტების“, „ევროპელი დემოკრატების“ და „პატრიოტთა ალიანსი–

გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“, „რესპუბლიკელების“, „ეროვნული ფორუმის“, „თავისუფალი დემოკრატების“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „ეროვნული ფორუმის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.maestro.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ სარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





მაესტრო



მაესტრო

(საუკეთესო დრო)





შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 23.4%, „ქართულ ოცნებას“ - 20%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 14.1%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 24.8%, „ქართულ ოცნებას“ - 24%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 12.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „სპექტრი“ და „ბარიერი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სპექტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ბარიერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (თერთმეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ცხრაჯერ), „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ხუთჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ) და „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. აღნიშნულ გადაცემაში შედგა დებატები „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო



ხალხისთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“, „ეროვნული ფორუმის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალ დემოკრატებს“, „მემარცხენე ალიანსს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ეროვნული ფორუმის“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „მემარცხენე ალიანსის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „იბერია TV“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს³ ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 31.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.6%, „რესპუბლიკელებს“ 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„იბერია TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „პრიორიტეტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „მრეწველების“ (სამჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „ცენტრისტების“ (ორჯერ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ცენტრისტების“, „მრეწველების“, „ქართული ოცნების“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იბერია TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

³ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„იბერია TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.iberiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იბერია TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია პირველი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 24.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 14.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 14.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 25.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 16.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 14.5%, „რესპუბლიკელებს“ 12.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ვახო სანაიას და ინგა გრიგოლიას დღის ამბები“⁴, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორმოცდაერთჯერ), „ქართული ოცნების“ (ოცდასამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (თვრამეტჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (თხუთმეტჯერ), „რესპუბლიკელების“ (ცამეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (თორმეტჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ათჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ცხრაჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ხუთჯერ), „ლიბერალ-დემოკრატების“ (ერთხელ), „ჩვენების“ (ერთხელ), „რეფორმატორების“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები მურმან დუმბაძე (ორჯერ), ირაკლი ოქრუაშვილი (ორჯერ), ილია კოკაია (ერთხელ) და არმაზ ახვლედიანი (სამჯერ). ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „სახელმწიფო ხალხისთვის“ (თვრამეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდეჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ექვსჯერ), „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ხუთჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „რეფორმატორების“ (ერთხელ), „ცენტრისტების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ) და „ლიბერალ-დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „რვიანი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ათჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ცხრაჯერ), „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (შვიდეჯერ), „რესპუბლიკელების“ (ექვსჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ხუთჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) და „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) და „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.


⁴ გადაცემის წამყვანის, ინგა გრიგოლიას განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უარს აცხადებენ მასთან პროგრამაში მონაწილეობაზე;

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „შეკითხვის დრო“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „საქმიანი დილა“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.


„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ბიზნესკონტრაქტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „Face Time“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „ლეიბორისტების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.⁵




⁵ იხ. რეკომენდაციების ნაწილი;


ტვ პირველი



ტვ პირველი (საუკეთესო დრო)



ტვ პირველი



ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 40.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12.7%, „ქართულ ოცნებას“ 12.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 42.1%, „ქართულ ოცნებას“ 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„ობიექტივის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „დილის შოუ“, „შუადღე“, „სადამოს შოუ“, „ღამის შოუ“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დილის შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „შუადღე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (თორმეტჯერ), „ქართული ოცნების“ (ცხრაჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ხუთჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ორჯერ), „ცენტრისტების“ (ერთხელ) და „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სადამოს შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (თორმეტჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ), „ცენტრისტების“

(ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ღამის შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (თხუთმეტჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ხუთჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ქართული დასის“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obieqtivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




ობიექტი



ობიექტი (საუკეთესო დრო)





**შპს „პალიტრა TV“
(Palitra News)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 28%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 19.6%, „ქართულ ოცნებას“ 16.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 34.1%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 24.2%, „ქართულ ოცნებას“ 17.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„პალიტრა News“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „360“ და „მეხუთე სართული“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „360“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები სალომე ზურაბიშვილი და ცეზარ ჩოჩელი. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკელების“ და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“ და „თამაზ მეჭიაური



ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მე-5 სართული პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგელები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პალიტრა News“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.palitratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პალიტრა News“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 36.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.4%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.8%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 29.4%, „ქართულ ოცნებას“ 28.3%, „რესპუბლიკელებს“ 13%, „ცენტრისტებს“ 12.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „თეორემა“, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.



„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „საუბარი რელიგიაზე“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.⁶


„ტაბულას“ მიერ საჯაროდ არ გამოცხადებულა (www.tabula.ge) და კომისიაში არ წარმოდგენილა მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტაბულას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



⁶ იხ. რეკომენდაციების ნაწილი;





შპს „სტარჯიზია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 25.1%, „რესპუბლიკელებს“ 23.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 18.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 29.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 16.1%, „რესპუბლიკელებს“ 14.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„სტარჯიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „აქტუალური თემა“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „ცენტრისტების“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „სტარჯიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„სტარჯიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.stargroup.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„სტარჯიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

სტარვიზია (საუკეთესო დრო)



სტარვიზია





შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 31.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 26.4%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 29.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 24.7%, „რესპუბლიკელებს“ 11.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„რიონის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „თემა“, „დიალოგი“, „განსხვავებული აზრი“ და „მრავალკუთხედი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რიონის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რიონის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rionitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რიონის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“

საინფორმაციო გამოშვებებში⁷ ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 47.1%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 30.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



საანგარიშო პერიოდში „მეგა ტვ“-ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეგა ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეგა ტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.megatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეგა ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

⁷ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;



შპს „ტელე-რადიო პრესკომპანია ზარი“



საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 52.9% და „ლეიბორისტებს“ 47.1% დაეთმო.

„ზარის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „მრავალკუთხედი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ზარის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ზარის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvzari.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ზარის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „თავისუფალი მედია სივრცე“
(გურია)


საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს⁸ პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 28.0%, „ლეიბორისტებს“ 23.2%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 23.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 16.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„გურიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fms.tge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



⁸ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;



შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“



საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 34.1%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 15.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 13.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 35.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 19.6%, „ცენტრისტებს“ 14.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 13.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„თრიალეთის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „სტუდია რე“, „მთავარი სვლა“ და „არჩევანი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „მთავარი სვლა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „კვარაცხელია-სოციალისტების“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი პავლე ლაცაბიძე. ამავე გადაცემაში შედგა დებატები ზემოაღნიშნულ წარმომადგენლებს შორის.

„თრიალეთის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილია და საკუთარ ვებ-გვერდზე (www.trialeti.ge) ატვირთულია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 47.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 21.3%, „რესპუბლიკელებს“ 12.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 12.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 50.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„გურჯაანის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „კვირის თემა“ და „სტუდია რე“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „კვირის თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურჯაანის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურჯაანის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gurjaanitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურჯაანის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 63.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 15.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 82%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„ქვემო ქართლის“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, ქვემო ქართლის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ქვემო ქართლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (<http://tvkvemokartli.ge>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქვემო ქართლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.









შპს „ტელეკომპანია დია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 23%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 20.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 15.3%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 13.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 34%, „ქართულ ოცნებას“ 21.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 12.1%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„დიას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „თავისუფალი სივრცე“ და „კვირის რეალობა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „კვირის რეალობა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და დამოუკიდებელი კანდიდატი ვასილ ხანიშვილი. ამავე პერიოდში გადაცემას „თავისუფალი სივრცე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „საქართველოს მშვიდობისთვის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.





შპს „ტელეარხი 25“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 27.2%, „ქართულ ოცნებას“ 24.9%, „რესპუბლიკელებს“ 16.4%, „ეროვნულ ფორუმს“ 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 45.2%, „ქართულ ოცნებას“ - 35.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„Tiflis TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები „მესამე ძალა“ და „ეპიცენტრი“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

¹⁹ იხ. რეკომენდაციის ნაწილი.



²⁰ TV24-ის მიერ კომისიაში 2016 წლის 24 ივნისს წარმოდგენილი წერილის (კომისიაში რეგისტრაციის №6/6071-16) შესაბამისად, ირკვევა რომ მაუწყებლობა ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე ხორციელდება ხარვეზებით;

²¹ საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო დათმობილი არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, Tiflis TV–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

Tiflis TV–ს მიერ (www.tiflistv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

Tiflis TV–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



**შპს „სიგულდა“
(TV Max)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო - „ქართულ ოცნებას“ 36.3%, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ 13.1%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 11.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 11.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო – „ქართულ ოცნებას“ 37.7%, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ 17.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 11%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 10%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„TV Max“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ჰორიზონტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „TV Max“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„TV Max“-ის მიერ კომისიაში წარმოდგენილია და საკუთარ ვებ-გვერდზე (www.tvmax.ge) ატვირთულია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“
(სდასუ TV)**



საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 34.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 18.9%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 33.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 16.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.8%, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„სდასუ ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები „კონტექსტი“ და „პოლიტიკური ასპექტები“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „კონტექსტი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმროდბნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „პოლიტიკური ასპექტები“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმროდბნენ „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „მრწველების“ (ორჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„სდასუ TV“-ს მიერ საჯაროდ არ არის გამოცხადებული (www.sdasu.edu.ge) და კომისიაში არ არის წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„სდასუ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



სდასუტვ (საუკეთესო დრო)



სდასუტვ



გამოვლენილი დარღვევები:

შპს „ტელეკომპანია რუსთავი -2“ წინასაარჩევნო პერიოდში ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო წერილობით გააფრთხილა:

წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო პროცესის გაშუქების დროს არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპებისა და ბალანსის დაცვის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელები და მაუწყებლობაზე ავტორიზებული პირები, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ვალდებული არიან წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ შემდეგი სახის ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო; ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; საეთერო დროის ტარიფი და ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან, 2016 წლის 8 ივნისიდან ამავე წლის 22 აგვისტომდე კომისიაში არ წარმოდგენია ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია. ტელეკომპანიამ 22 აგვისტოს წარმოადგინა „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული ინფორმაცია, თუმცა არასრულყოფილად.

საკითხის არსებითი განხილვის და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს პოზიციის მოსმენის შემდეგ, კომისიამ ტელეკომპანია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და ფორმით ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო წერილობით გააფრთხილა.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.

კერძოდ, კომპანიის მიერ არ ხორციელდება მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის კომისიაში წარმოდგენა და საკუთარ ვებ-გვერდზე ატვირთვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იმსჯელებს საჯარო სხდომაზე.

კომისიამ ექვსი ტელეკომპანია წერილობით გააფრთხილა:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ექვსი ტელეკომპანია შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“, შპს „საფერავი ტვ“, შპს „ქართული ტვ“, შპს „ტელეკომპანია ქართულ არხი“, ააიპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის

უფლებებისათვის“ წერილობით გააფრთხილა, რადგან არც ერთ ტელეკომპანიას თავის სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების პროგრამა არ ჰქონია განთავსებული.

ექვსივე ტელეკომპანია კერძო საერთო ტელემაუწყებლობაზე ავტორიზებული პირია, რაც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გულისხმობს მინიმუმ ორი თემატიკის პროგრამებით, ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებით მაუწყებლობას. ამავე კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე საერთო მაუწყებელი ვალდებული არიან საუკეთესო დროს განათავსონ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და უზრუნველყონ აუდიტორიის დროული ინფორმირება მათი მომსახურების ზონაში, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საკითხის განხილვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით კომისიის საჯარო სხდომაზე გაიმართა. მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, კომისიამ ექვსივე ტელეკომპანიის წერილობითი გააფრთხილების გადაწყვეტილება მიიღო.

– საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვის გარეშე გამოქვეყნება.

რიგი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება განხორციელდა შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების დაცვის გარეშე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
- კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;
- საველე კვლევის ჩატარების დრო;
- გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;
- რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;
- ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;
- იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;
- შერჩევის ზომა;
- ცდომილების ფარგლები;
- ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

კომისიის აპარატში დასაქმებული უფლებამოსილი პირების მიერ ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა და აღნიშნული ოქმების საქალაქო (რაიონულ) სასამართლოებში გადაგზავნა.

კომისიამ გაზეთ „ტყიბულს“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა, საკითხი საქალაქო სასამართლომ განიხილა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, კომისიამ გაზეთ „ტყიბულს“ წინასაარჩევნო აგიტაციის და წინასაარჩევნო რეკლამის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის საქალაქო (ქუთაისის) სასამართლოს გადაუგზავნა, რომელმაც თავის მხრივ გაზეთ „ტყიბულს“ წერილობითი შენიშვნა მისცა.

გაზეთ „ტყიბულის“ ივლისის ნომერში გამოქვეყნდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ელგუჯა გოცირიძის სააგიტაციო წერილი, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშვნა გამოქვეყნებული მასალა იყო ფასიანი თუ უფასო პოლიტიკური რეკლამა.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

– რიგი გაზეთების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არ ხორციელდება კომისიაში ყოველკვირეული ინფორმაციის წარმოდგენა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ექვემდებარებიან წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებისგან, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისგან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგს დაექვემდებარა 31 გაზეთი (გაზეთების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომისიის ვებ გვერდზე).

ყველა გაზეთს გაეგზავნა მოთხოვნა წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების დანართი №2-ით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, თუმცა 23 გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წერილი ჩაბარდა, ინფორმაციას არ წარმოადგენს.

აღნიშნული გაზეთებია: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „რეგიონის ტრიბუნა“, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თვითმმართველობა“, ონის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ონი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“, ქარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ქარელის მოამბე“, აბაშის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „აბაშის მაცნე“,

ქუთაისის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „უქიმერიონი“, სიღნაღის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სიღნაღი“, ტყიბულის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ტყიბული“, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „არშლუისი“, გურჯაანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაცნე“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - ააიპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ (გაზეთის სახელწოდება არ მოგვაწოდეს), ლენტეხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სვანეთი“, გორის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გორის მაცნე“, ვანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „საერთო სიტყვა“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ეგრისის მაცნე“, ხობის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხობის მოამბე“.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიზნით, კომისიამ საკონტროლო შესყიდვა სცადა კერძო კომპანიების საშუალებით, თუმცა პრესის გავრცელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს ზემოთხსენებული გაზეთები ჩამონათვალში არ აქვთ, რის გამოც, კომისიამ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს და სთხოვა გაზეთების წარმოდგენა.

რეკომენდაციები:

- „ტაბულას“ ეთერში განთავსებული იყო არაპოლიტიკური გადაცემა „საუბარი რელიგიაზე“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატების“ და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები.

- „პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „Face Time“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „ლეიბორისტების“ წარმომადგენელი.

- „რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

ზემოაღნიშნულ გადაცემებში რესპოდენტები გამოთქვამდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პროგრამის პრეზენტაციის რიგ სამაუწყებლო კომპანიების სამაუწყებლო ბადეში განთავსების საკითხი.

აღნიშნული პროგრამის პრეზენტაციის ბოლოს განთავსებულ იქნა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ სარეკლამო ვიდეო რგოლი. კომისია დაინტერესდა, თუ რა სტატუსით იქნა აღნიშნული რგოლი განთავსებული შპს „სტუდია მანესტროს“, შპს „ტელეიმედის“ და შპს „ჯი–დი–ეს თი–ვის“ სამაუწყებლო ბადეში.

კომპანიების მიერ კომისიაში წარმოდგენილი წერილებიდან ირკვევა, რომ სამაუწყებლო ბადეში განთავსებული სარეკლამო ვიდეო რგოლი წარმოადგენდა წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის ნაწილს, რომლის პირდაპირი ტრანსლაციაც ხორციელდებოდა. ამასთან, მაუწყებლებისათვის ცნობილი არ იყო, რომ პირდაპირი ტრანსლაციის ფარგლებში განთავსდებოდა აღნიშნული რგოლი. მაუწყებლების განცხადებით, დაგეგმილია სხვა პოლიტიკური პარტიების მსგავსი ღონისძიებების გაშუქება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „ჯი–დი–ეს თი–ვის“ განცხადებით, მართალია ტელეკომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება მუსიკალური სარეკლამო რგოლის ეთერში განთავსებისა, თუმცა კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი ქრონომეტრაჟის გამოკლებას პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ უფასო სარეკლამო დროიდან.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პროგრამის პრეზენტაციის გაშუქება განახორციელდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველ არხზეც, თუმცა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ სარეკლამო ვიდეო რგოლი არ განთავსებულა.

კომისია აღნიშნავს, რომ მაუწყებლებმა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამართლიან, მიუკერძოებელ და დაბალანსებულ გაშუქებას. შესაბამისად, თუ მაუწყებელი საკუთარი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში ანთავსებს კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანების წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას, მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნას იდენტური მიზნით შესაბამისი დროის გამოყოფა სხვა საარჩევნო სუბიექტებისთვისაც.

წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული კომისიის მიერ გატარებული სხვა ღონისძიებები:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა 2016 წლის 08 სექტემბერს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ ერთობლივად გავრცელებული განცხადება და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2016 წლის 09 სექტემბრის მომართვა შპს „ჯი–დი–ეს თი–ვის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებული გადაცემის „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“ თაობაზე, რომლის რესპოდენტი საქართველოს ყოფილი პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილია.

კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 23-ე მუხლი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემის და არჩევნების გაშუქების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ ერთობლივად გავრცელებულ განცხადებაში საუბარია აღნიშნული მუხლის მე-9 პუნქტის უგულვებელყოფაზე. კერძოდ, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, „საარჩევნო პერიოდში მაუწყებელმა საჭიროა გამოიჩინოს სახელმწიფოებრივად აპარტიული ფუნქციების შესრულება, რათა დაიცვას მიუკერძოებლობის, ობიექტურობის პრინციპები და უზრუნველყოს ბალანსი. მაუწყებელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს სახელმწიფო მოხელის საქმიანობის გაშუქებისას, იმისათვის რომ მკაფიოდ განასხვავოს მისი, როგორც თანამდებობის პირის მიერ საჯარო/სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება და კერძო/პარტიული/საარჩევნო საქმიანობა“.

ხსენებული ნორმა განსაზღვრავს მაუწყებლის წინასაარჩევნო პერიოდში ქცევის წესს, რომლის დროსაც მაუწყებელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს მკაფიოდ გამოიჩინოს მოქმედი სახელმწიფო მოხელის მიერ საჯარო/სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება მისი კერძო პარტიული/წინასაარჩევნო საქმიანობისაგან. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ მაუწყებლის მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ აქვს.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას. ამასთანავე, დაუშვებელია ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება. შესაბამისად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ეთიკური ნორმების და პროფესიული სტანდარტების შესაძლო დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „გადაცემის ფორმატი ანონსიდანვე გულისხმობდა მმართველი პარტიის სასარგებლო აგტაციას. ვიდეორგოლიდან ჩანს, რომ გადაცემების ციკლში ბიძინა ივანიშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, ისაუბრებს თუ რატომ არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა“. ასევე, ანონსში დემონსტრირებულია „ქართული ოცნების“ ნომერი და სიმბოლიკა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „წ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეკლამა არის კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა (იგულისხმება გადაცემის ანონსი), რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე,

სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

მოქმედი კანონმდებლობა მკაფიოდ განმარტავს, რომ მაუწყებლის მიერ საკუთარი პროგრამის ანონსის სამაუწყებლო ბადეში განთავსება არ უნდა ჩაითვალოს რეკლამად, მათ შორის პოლიტიკურ წინასაარჩევნო რეკლამად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საერთო მაუწყებლების ბადე (განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ) გაჯერებულია იმგვარი ტიპის პროგრამების ანონსებით, რომლებშიც ნაჩვენებია როგორც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ნომრები, ისე საარჩევნო სიმბოლიკა.

რაც შეეხება „პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას“, კომისიამ აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში აგატიციის ნიშნებით ხასიათდება არა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, არამედ გასართობი და იუმორისტული გადაცემები, მხატვრული თუ ანიმაციური ფილმები და სხვა. ამ გარემოების გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირების საკითხი განსაკუთრებული სიფრთხილის საგანია, მით უფრო, რომ შინაარსობრივი რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო, პრაქტიკულად, არ არსებობს. როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაუწყებელი სარგებლობს სარედაქციო დამოუკიდებლობით, კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ხოლო ცენზურა აკრძალულია. მოქმედი სამართლებრივი ნორმებით მაუწყებლის საქმიანობის შინაარსობრივი რეგულაციების შეუსრულებლობა არ შეიძლება კომისიის, მეტიც, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს.

ამავე დროს, კომისიამ ყურადღება გაამახვილა სარედაქციო დამოუკიდებლობასა და ჟურნალისტის პროფესიულ თავისუფლებას, ზოგადად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და მეორე მხრივ - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს შორის პროპორციულობისა და ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე და მიმართა მაუწყებლებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამართლიან, მიუკერძოებელ და დაბალანსებულ გაშუქებას, უზრუნველყონ საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებული (მათი ჩართულობით) მიმდინარე ამბების გადაცემისას/საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების განთავსებისას სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, ჯეროვანი სიზუსტისა და ბალანსის პრინციპების დაცვა, რაც შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს როგორც ერთი კონკრეტული გადაცემის ფორმატში, ისე მაუწყებლის ეთერში განთავსებული სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ გადმოგზავნილ იქნა „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ განცხადება, პარტიის ერთერთი წინასაარჩევნო აქტივობის გაშუქებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების თაობაზე და პოლიტიკური გაერთიანების „ზვიადის გზა-უფლის სახელით“ განცხადება, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიამ მიმართა შპს „ტელეკომპანია რუსთავი 2“-ს, შპს „ტელეკომპანია პირველს“, შპს „ტელეიმედს“, შპს „მაგთიკომს“ და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. კომისიის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა არ დაფიქსირებულა. კომპანიებიდან შემოსული წერილობითი განმარტებები გადაგზავნილია როგორც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, ისე „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიაში“ და პოლიტიკურ გაერთიანებაში „ზვიადის გზა-უფლის სახელით“.